F-133
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 1961 წ.

2484

## შ ი ნ ა ა რ ს ი


### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

20. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციის გარდაქმნისა და გაუმჯობესების საკითხები (ამონაკრები).
21. კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

22. კეთილმოწყობისა და სანიტარული წესრიგის დასამყარებლად საქართველოს სსრ ქალაქების, მუშათა დაბებისა და რაიონული ცენტრების სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცების შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს საკითხები (ამონაკრები).
24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 სექტემბრის № 606 დადგენილებით დამტკიცებული „დებულების საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის და ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ“ VI განაყოფის დამატების შესახებ
25. რაიონული საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მოწყობის შესახებ.
26. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემსყიდველი რაიონული სახელმწიფო ინსპექციების მოწყობის შესახებ.
27. შენობების უპატრონოდ და მოუვლელად ცნობის წესის შესახებ დებულემწიფო ინსპექციების მოწყობის თაობაზე.
28. მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ.

29. რაიონული საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მოწყობის შესახებ.
30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" საკითხები.
31. სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლებში სასწავლო წლის ხანგრძლივობისა და სასწავლო გეგმების შესახებ.
32. რაიონული საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მოწყობის შესახებ.
33. საქართველოს სს რესპუბლიკაში თევზსამეურნეო წყალსატევებისადმი სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის მოწყობის შესახებ.
34. საკოლმეურნეო ბაზრებზე პირუტყვის ხორცით ვაჭრობის გაუმჯობესებისა და ქალაქ თბილისის ვეტერინარული ქსელის რეორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ.
35. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების დამატების შესახებ.
36. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 იანვრის № 25 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
37. მსუბუქი ავტომობილებით სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის დამატებითი ზომების შესახებ.
38. „ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 სექტემბრის № 681 და 1960 წლის 9 ოქტომბრის № 689 დადგენილებების შესრულების მიმდინარეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

## დადგენილებები

### 20 სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზაციის გარდაქმნისა და გაუმჯობესების საკითხები

(ამონაკრები)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 3 აპრილის № 295 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს კოლმეურნეობის გამგეობის, საბჭოთა მეურნეობის დირექციის სხდომის ოქმებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და ნედლეულის კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა ტექსტები, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტთან.

2. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტრომ 1961 წლის 1 ივნისამდე ჩაატაროს 1961 წლისათვის კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა დადება რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, ხოლო 1961 წლის ოქტომბერში შეუდგეს ხელშეკრულებების დადებას 2-დან 5 წლამდე ვადით, რაც განაწილებულ იქნას წლების მიხედვით.

3. სახელმწიფოსათვის მიყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ღირებულება აუნაზღაურდეთ კოლმეურნეობებს ზონალურ შესასყიდ ფასებში, ხოლო მარცვლის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლისა და კარტოფილის ღირებულება — შესასყიდ ფასებში, რაც ყოველწლიურად დაწესდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 ივნისის № 789 დადგენილების შესაბამისად.

დაწესდეს, რომ კონტრაქტაციის ხელშეკრულებებში კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ღირებულება განისაზღვრება ზონალური შესასყიდი ფასებით, ხოლო მარცვლის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის და კარტოფილის ღირებულება, შესაბამისი წლისათვის შესასყიდი ფასების

დადგენამდე — ამ კულტურების იმ შესასყიდი ფასების საფუძველზე, რაც დაწესებული იყო გასულ წელს, ესე იგი 1961 წლისათვის იმ ფასებით, რაც დაწესებული იყო 1960 წლისათვის.

კოლმეურნეობებს ფულადი ავანსები მიეცეთ აღნიშნული ფასების საფუძველზე მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტებისათვის (რძის ჩათვლით) 30 პროცენტის ოდენობით.

4. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიტანის ხარჯებს აანაზღაურებენ (მთელი მანძილისათვის კოლმეურნეობიდან, საბჭოთა მეურნეობიდან ჩაბარების პუნქტებამდე) სახელმწიფოს ხარჯზე მიმღები პუნქტები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ამ პროდუქტებისა და ნედლეულის მიღებას ახორციელებენ ავტოგადაზიდვის ერთიანი ტარიფების მიხედვით.

## 21 კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის, აგრეთვე კოლმეურნეობათა იმ პროდუქციის გასაღების ორგანიზაციას, რომელიც სახელმწიფოსათვის ამ პროდუქციის მიყიდვის ვალდებულებათა შესრულების შემდეგ რჩება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღნიშნული ნამეტის სარეალიზაციოდ ბევრი კოლმეურნე სწყდება საკოლმეურნეო წარმოებას, მიდის საკოლმეურნეო ბაზრებში, ხშირად შორ მანძილზე. ეს იწვევს შრომისა და დროის მნიშვნელოვან დანახარჯებს და დიდ ხარჯებს ტრანსპორტის დაქირავებაზე და გასაყიდი პროდუქციის შენახვაზე.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის უფრო ორგანიზებული გასაღება და ისინი განთავისუფლდნენ შრომისა და სახსრების არარაციონალურ დანახარჯებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია საკოლმეურნეო ბაზრებში პროდუქტების რეალიზაციასთან, და შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა

საბჭოს 1961 წლის 25 თებერვლის № 176 დადგენილებისა [illegible]
მეურნეთა და კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-
ტების ნამეტის გასაღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას გააძლიეროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმ ნამეტის შესყიდვა კოლმეურნეებისა და განსაკუთრებით კოლმეურნეებისაგან, რასაც სახელმწიფო არ ყიდულობს, რათა შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები იყიდებოდეს როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში, ადგილობრივ ბაზრებზე შექმნილი ფასებით ამის მეოხებით კოლმეურნეებს არ დასჭირდებათ შორ მანძილზე წაიღონ გასაყიდად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტი და არ მოსწყდებიან საწარმოო მუშაობას კოლმეურნეობებში.

2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის შესყიდვა სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ შემდეგნაირად:

კოლმეურნეებისაგან და სხვა მოქალაქეებისაგან — მათთან შეთანხმებით გათვალისწინებულ ფასებში;

კოლმეურნეობებისაგან (მას შემდეგ, რაც ისინი შეასრულებენ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიყიდვის ვალდებულებებს) — მოქმედ საკომისიო საწყისებზე კოლმეურნეობებთან შეთანხმებით ისე, რომ მათ მიეცემათ ავანსი პროდუქტების შეპირობებული ღირებულების დაახლოებით 75 პროცენტის ოდენობით.

3. რჩევა მიეცეს ცეკავშირის გამგეობას შექმნას დემოკრატიულ საწყისებზე ცეკავშირის გამგეობასთან, აფხაზკოოპკავშირთან, აჭარკოოპკავშირთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამომხმარებლო კავშირთან, აგრეთვე რაიონებში, საჭიროების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების (სამეურნეო ანგარიშზე) ავტონომიური სექციები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეობები და სამომხმარებლო საზოგადოებები, როგორც რაიონულ სამომხმარებლო კავშირებთან (რაიკოოპკავშირებთან) შექმნილი სექციების წევრები.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების სექციებს უხელმძღვანელებენ საბჭო და გამგეობა, რომლებიც შეიქმნება სამომხმარებლო კოოპერაციის წესდებათა შესაბამისად. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ცეკავშირთან, აფხაზკოოპკავშირთან აჭარკო-

ოპკავშირთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამომხმარებლო კავშირთან შექმნილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ავტონომიური სექციების თავმჯდომარენი იქნებიან შესაბამისი სამომხმარებლო კავშირების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები.

რაისამომხმარებლო კავშირების (რაიკოოპკავშირების) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების ავტონომიური სექციების თავმჯდომარეები იქნებიან, ადგილობრივი პირობების მიხედვით, რაისამომხმარებლო კავშირების (რაიკოოპკავშირების) გამგეობის წევრები ან გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები.

უფლება მიენიჭოთ აღნიშნულ სექციებს გახსნან სავაჭრო და სხვა საწარმოები (ორგანიზაციები) კომერციული ოპერაციების განსახორციელებლად.

4. რაისამომხმარებლო კავშირებთან (რაიკოოპკავშირებთან) შექმნილი ავტონომიური სექციების საბჭოებისა და გამგეობების არჩევნები და ცეკავშირთან და საოლქო სამომხმარებლო კავშირებთან შექმნილი ავტონომიური სექციების საბჭოებისა და გამგეობების არჩევნები ჩატარდეს მაისში.

5. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას უფრო ფართოდ გაშალოს სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობა ქალაქებსა და მუშათა დაბებში, უწინარეს ყოვლისა საკოლმეურნეო ბაზრებში, აგრეთვე სპეციალიზებულ კოოპერაციულ სავაჭრო ქსელში ბაზრების ტერიტორიის გარეთ.

შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანა საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ უნდა წარმოებდეს იმის გათვალისწინებით, რომ დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე რესპუბლიკის ბაზრებში.

იმ მიზნით, რომ აღიკვეთოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების არარაციონალური გადაზიდვა და სწორად იქნას გამოყენებული შესყიდული პროდუქცია, დაწესდეს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღებას რაიონისა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ რაიონული კოოპგამსაღებელი სექციები აწარმოებენ ცეკავშირთან არსებული რესპუბლიკური ავტონომიური სექციის მეშვეობით.

ის ფასები, რომელთა მიხედვით გაიყიდება კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან შესყიდული სასოფლო-სამეურნეო

მუხ. 21

პროდუქტები, უნდა დაამტკიცონ შესაბამისი კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. უფლება მიენიჭოთ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს დააწესონ საცალო ფასები სპეციალიზებულ კოოპერაციულ სავაჭრო ქსელში გასაყიდი იმ მზა ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატებისა, რომლებიც გამომუშავებულია მათს საკუთარ საწარმოებში და შეკვეთების საწყისებზე სახელმწიფო მრეწველობის საწარმოებში კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან შესყიდული და კოლმეურნეობებისაგან საკომისიოდ მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან.

აღნიშნული ფასები დამტკიცდება ნედლეულის ღირებულების, საწარმოო და სავაჭრო ხარჯების ოდენობისა და დაგროვების (მოგების) ნორმების მიხედვით.

7. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას შექმნას, საჭიროების მიხედვით, მსხვილ ეკონომიურ პუნქტებში სარაიონთაშორისო საბითუმო ბაზები, რომლებიც მიიღებენ, დაახარისხებენ და გაგზავნიან შესყიდულ და საკომისიოდ მიღებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

8. საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

ა) გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეთა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვა მოქალაქეთა შორის, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა შორის იმ ღონისძიებათა მნიშვნელობის შესახებ, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის;

ბ) ერთი თვის ვადაში გადასცენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების სამომხმარებლო კოოპერაციის სექციებს საიჯარო საწყისებზე ყველა საკოლმეურნეო სტაციონარული წერტი, რომლებიც მდებარეობენ როგორც საკოლმეურნეო ბაზრებში, ისე ბაზრების ტერიტორიის გარეთაც, აგრეთვე დაუთმონ საჭირო სავაჭრო-სასაწყობო სადგომები და პავილიონები ყველა საკოლმეურნეო ბაზარში, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობა კოოპერაციის მიერ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ხელმძღვანელობა და ყოველდღიური დახმარება გაუწიონ სამომხმარებლო კოოპერაციას იმ მხრივ, რომ სწორად მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან, აგრეთვე იმ მხრივ, რომ მიღებულ იქნას საკომისიოდ კოლმეურნეობებისაგან აღნიშნული პროდუქტების ნამეტი და მოხდეს მისი შემდგომი რეალიზაცია;

დ) ვინაიდან დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღების ღონისძიებებს, გულმოდგინედ შეარჩიონ და დააკომპლექტონ ავტონომიური სექციები შემოწმებული კვალიფიციური მუშაკებით, რომელთაც უნარი შესწევთ შეასრულონ პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 თებერვლის № 176 დადგენილებით დასახულია სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღების გაუმჯობესების დარგში.

9. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გამოუყოს ცეკავშირის ავტონომიურ სექციას საჭირო სადგომი მისი აპარატისათვის.

10. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით 10 დღის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად ავტონომიური სექციების სტრუქტურა და შტატები.

11. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას დაუბრკოლებლივ განახორციელოს სამომხმარებლო კოოპერაციის დაკრედიტება და ფულის ნიშნების მიცემა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის ოპერაციებისათვის, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ინსტრუქციისა და მითითებათა შესაბამისად.

12. დაევალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს:

ა) გამოუყოს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ვაგონები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასაზიდად ტვირთის წარდგენისას, კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ განაცხადების წარდგენა ვაგონებზე ტვირთის გაგზავნამდე არაუგვიანეს 5 დღისა;

ბ) მიიღოს ზომები, რათა შემცირდეს მალფუჭებადი საქონლის დატვირთული ვაგონების გარბენის ვადები და უზრუნველყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილ იქნას გადასაზიდი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხის შენარჩუნება.

იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადაზიდვა და უკეთ იქნან ამ პროდუქციით მომარაგებული ქალაქები და სამრეწველო ცენტრები, მიიღოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ბაგაჟად წვრილ პარტიებად.

13. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ გამოუყოს სამომხმარებლო კოოპერაციას მისი განაცხადებით ავტოტრანსპორტი შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასაზიდად ტვირთზიდვის დაწესებული გეგმის ფარგლებში.

14. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ, ცეკავშირთან სახელშეკრულებო საფუძვლებზე, მიიღონ მრეწველობის საწარმოებში სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისაგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები — ხორცი (პირუტყვი), რძე, ზეთოვანი კულტურების თესლი, ხილი, ბოსტნეული და სხვა და გადაამუშაონ იგი შეკვეთების საწყისებზე.

15. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაავალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გამოუყოს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღების უკეთ მოსაწყობად 75 სატვირთო ავტომობილი, 30 ავტომანქანა „მოსკვიჩ-ფურგონი", 50 სატვირთო მოტოროლერი, 60 დახლის მაცივარი და 40 კარადა-მაცივარი.

16. რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა გააშუქონ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გასაღების ორგანიზაციის მნიშვნელობა.

17. ეს დადგენილება განხილულ იქნას კოლმეურნეთა და სამომხმარებლო საზოგადოებების მუშაკთა კრებებზე.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1961 წ. 25 აპრილი, № 271.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**22** კეთილმოწყობისა და სანიტარული წესრიგის დასამყარებლად საქართველოს სსრ ქალაქების, მუშათა დაბებისა და რაიონული ცენტრების სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დამტკიცდეს სოციალისტური შეჯიბრების პირობები საქართველოს სსრ ქალაქების, მუშათა დაბებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის და მათში სანიტარული წესრიგის დასამყარებლად.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.** | საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ა. ლელაშვილი.** |

ქ. თბილისი, 1961 წ. 24 მარტი, № 163.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს 1961 წლის 24 მარტის № 163 დადგენილებით

## პ ი რ ო ბ ე ბ ი

**კეთილმოწყობის და სანიტარული წესრიგის დასამყარებლად საქართველოს სსრ ქალაქების, მუშათა დაბებისა და რაიონული ცენტრების სოციალისტური შეჯიბრებისა**

რესპუბლიკის ქალაქების, მუშათა დაბებისა და რაიონული ცენტრების სათანადო სანიტარულ და კეთილმოწყობილ მდგომარეობაში შესანახად მუშაობის შემდგომი გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო აცხადებენ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს, რომელთა შესაბამისად რესპუბ-

ლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის ქალაქები, მუშათა დაბები და რაიონული ცენტრები, რომელნიც საუკეთესოდ შეასრულებენ შემდეგ მაჩვენებლებს:

### რესპუბლიკური და რაიონული დაქვემდებარების ქალაქებსა და ქ. თბილისის რაიონებში

1. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, გზების, ხიდების, ტროტუარების კაპიტალური მშენებლობის, მათი საექსპლუატაციოდ გადაცემის, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმების შესრულებას.

2. ხეების, ბუჩქებისა და ყვავილების დარგვის გეგმის გადაჭარბებას ნარგავების მაქსიმალური დაცვის პირობებში.

3. ორანჟერიებისა და კვალსათბურების მშენებლობის გეგმის გადაჭარბებას სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულების პირობებში.

4. ყვავილოვანი და ხე-ბუჩქოვანი პროდუქციის გამოზრდის გეგმის გადაჭარბებას დამტკიცებული ასორტიმენტის დაცვის პირობებში და დანაკარგის უმცირესი პროცენტით.

5. პარკების, ბაღების, სკვერების ჩინებულ მდგომარეობაში შენახვას და მწვანე ნარგავების დაცვის უზრუნველყოფას (ქალ. რაისანეპიდსადგურებისა ან სანეპიდგანყოფილების შეფასებით);

6. სიბინძურისა და ნაგვის დროულად და სრულად გატანას.

7. სახლმმართველობებისა და საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების კომლობრივ დასუფთავებას (ქუჩების, მოედნების, საზოგადოებრივი საპირფარეშოების დასუფთავება).

8. დაბეტონებულ ან მოასფალტებულ მოედნებზე ნაგავსაკრებლებით საზოგადოებრივი სექტორების სახლმმართველობების, კერძო მფლობელობის სახლების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მაქსიმალურ უზრუნველყოფას.

9. საზოგადოებრივი საპირფარეშოების საჭირო კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ჩატარებას.

10. საჭირო რაოდენობის ურნებით მოედნების, ქუჩების, სკვერების, ბაღებისა და სხვა ადგილების უზრუნველყოფას მათი დასუფთავების, გარეცხვისა და დეზინფექციის ვადების შესრულებით.

11. ქუჩებისა და მოედნების ცარიელი ადგილების სანიმუშო სანიტარულ მდგომარეობაში შენახვას.

12. ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობის მაქსიმალურად ჩაბმას ბრძოლაში ქალაქის, დაბის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. თვითეულ საცხოვრებელ სახლს უნდა ჰყავდეს სანრწმუნებული.

### სასოფლო რაიონულ ცენტრებსა და მუშათა დაბებში

1. მიღწეულ იქნას მოსახლეობის ფართო მასების მაქსიმალური ჩაბმა კეთილმოწყობისა და სანიტარული წესრიგის დამყარებისათვის რაიცენტრსა და დაბაში.

2. სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარებით ამაღლებულ იქნას მოსახლეობის სანიტარული კულტურა; ჩაბმულ იქნას ამ მუშაობაში ინტელიგენცია, წითელი ჯვრის საზოგადოების აქტივი.

3. სათანადო მდგომარეობაში იქნას მოყვანილი გზები, მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნას მათი გამწვანება და მოვლა; სისტემატურად გაიწმინდოს წყალსადინარი არხები, არ მოხდეს მათი გაბინძურება და წყლის დაგუბება.

4. უზრუნველყოფილ იქნას ეზოების შენახვა სათანადო სანიტარულ მდგომარეობაში, არ მოხდეს სამეურნეო და მშენებლობის ნაგვის დაგროვება მისი ჩათხრის ან დაწვის გზით.

5. ყოველწლიურად აპრილ-მაისში ჩატარდეს ერთთვიური ზამთრის დანაგროვისაგან დასახლებული ადგილების გასაწმენდად.

6. უზრუნველყოფილ იქნას თვითეული სახლმმართველობა დახურული ღრმა ორმოებიანი (სიღრმით არა ნაკლებ ერთი მეტრისა) საპირფარეშოებით.

7. მოყვანილ იქნას წესრიგზე ქუჩებისა და ეზოების წყალსაღები სვეტები; მოეწყოს წყლის ჩასადენი, არ მოხდეს ტერიტორიის დაჭაობება.

8. მოყვანილ იქნას სათანადო სანიტარულ მდგომარეობაში წყაროები და ჭები; მოყვანილ იქნას შესაფერის სამუშაო მდგომარეობაში არსებული აბანოები და მოხდეს მათი ნორმალური ექსპლუატაცია.

კეთილმოწყობისა და სანიტარული წესრიგის დამყარებისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალაქების, მუშათა დაბებისა და სასოფლო რაიონების წასახალისებლად დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სამი გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამავალი წითელი დროშა, აქედან ერთი დროშა — რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და ქ. თბილისის რაიონებს შორის გამარჯვებულისათვის, ერთი დროშა — რაიონული დაქვემდებარების ქალაქებს შორის გამარჯვებულისათვის და ერთი დროშა — სასოფლო რაიონულ ცენტრებსა და ქალაქის ტიპის მუშათა დაბებს შორის გამარჯვებულისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასალები, განხილული მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭოების აღმასკომების სხდომებზე, რაიონულ (საქალაქო) სანეპიდსადგურებთან ერთად, წარედგინება პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს წელიწადში ორჯერ — 10 მაისსა და 10 ნოემბერს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო მოუწოდებენ საწარმოთა ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის ქალაქების, მუშათა დაბების და სასოფლო რაიონების კეთილმოწყობისათვის და მათში სანიმუშო სანიტარული წესრიგის დასამყარებლად.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 23 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს საკითხები (ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გადაეცეს 1961 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს გამგებლობაში:

ა) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან — მეცხოველეობა-მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების ტრესტი მისი საბჭოთა მეურნეობებით, საინკუბატორო სადგურებით და სხვა დამხმარე საწარმოებით და ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი მისი საბჭოთა მეურნეობებით და სამრეწველო საწარმოებით, აგრეთვე მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების

ტრესტი და მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობათა ტრესტი მათი საბჭოთა მეურნეობებით და საწარმოებით, რომლებიც აღნიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 23 თებერვლის № 93 დადგენილებაში;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოდან — ლოჭინის მეფრინველეობის ფაბრიკა, კიკეთის დამხმარე მეურნეობის პირუტყვის სულადობა;

გ) საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროდან — ჯანდარის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა.

საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოების გადაცემა მოხდეს სიით, № 1 დანართის თანახმად.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს სტრუქტურა და შტატები 45 ერთეულის რაოდენობით, №№ 2 და 3 დანართების თანახმად, აქედან 30 ერთეული ხელფასის შესაბამისი ფონდით — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სახალხო მეურნეობის საბჭოს ცენტრალურ აპარატებში მათი შემცირების ხარჯზე.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სამინისტროს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გამოიძებნოს 15 საშტატო ერთეული მათი ხელფასის ფონდით.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სამინისტროს შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები 1961 წლისათვის დამტკიცებული შრომის გეგმებსა და ბიუჯეტებში.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ივნისის № 693 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები შეთახმებულ იქნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მი-

ნისტრთა საბჭოს დებულება საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ქუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 20 მარტი, № 160.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 20 მარტის № 160
დადგენილების დანართი № 1

## ს ი ა

**საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისა, რომლებიც გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემიდან**

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობების და მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების ტრესტი მის გამგებლობაში შემავალი შემდეგი საწარმოებით:

**საბჭოთა მეურნეობები:**

ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა
ბაშქიჩეთის სანაშენე საბჭოთა მეურნეობა
მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა „უდაბნო"
მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
სამგორის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
ავჭალის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
რუსთავის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა
თბილისის ღორის გასასუქებელი საბჭოთა მეურნეობა
ყულარის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
მოხის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანგლისის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
ციხისჯვარის სანაშენე-მერძევ. საბჭოთა მეურნეობა
ბაკურიანის ნადირთმოსაშენებელი საბჭოთა მეურნეობა
ოკამის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
ვაჩიანის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
სულდის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
კარზახის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
საღამოს მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
თრიალეთის გასასუქებელი საბჭოთა მეურნეობა
წალკის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
ძველი სენაკის სანაშენე მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა
ზანათის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა
ქვალონის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა
ახალსოფლის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა
ჭალადიდის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა
პატარა ფოთის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა
ანაკლიის მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობა
თამარაშენის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა
გაგრის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა
გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკა
სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა
სამტრედიის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა
შირაქის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა
თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა
თბილისის ფრინველგასასუქებელი მეურნეობა
მარნეულის ფრინველგასასუქებელი მეურნეობა
თეთრიწყაროს ფრინველგასასუქებელი მეურნეობა
დუშეთის ფრინველგასასუქებელი მეურნეობა

მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურები:

საგარეჯოს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
თელავის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
გორის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
წითელწყაროს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
წნორის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
ახალციხის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
ახალქალაქის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაშურის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
გურჯაანის მეფრინველობის საინკუბატორო სადგური
ლაგოდეხის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
ქარელის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
წყალტუბოს მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
სამტრედიის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
ზუგდიდის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
ამბროლაურის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
საჩხერის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
ცხაკაიის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
ლანჩხუთის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
სოხუმის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
გალის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
ბათუმის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური
სტალინირის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური

**გარდა ამისა, შემდეგი საწარმოები:**

თბილისის ხისდამმუშავებელი და მექანიკური სახელოსნო
საკოლმეურნეობათაშორისო ვეტბაქლაბორატორია
ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი მასში შემავალი შემდეგი საწარმოებით:

| ჩაის საბჭოთა მეურნეობები: | ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები: |
|---|---|
| მოქვის | კოხორის ილიჩის სახ. |
| აჩიგვარის | ახალი ათონის |
| გალის | მახინჯაურის |
| სიდის | ახალშენის |
| სალიბაურის | მახვილაურის |
| გონიოს | ჭარნალის |
| ოჩხამურის | გონიოს |
| ცეცხლაურის | მუხაესტატეს |
| ჩაქვის | ალამბრის |
| ნატანების | ციხისძირის |
| ნასაკირალის | კვირიკეს |
| ლაითურის | ურეკის |
| ნარუჯის | ჩაქვის |
| გეჯეთის | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდიჭყონის
ვედითკარის
ინგირის
ონარიის
ხეცერის
ნარაზენის
ზედაეწერის
წალენჯიხის
ლესიჭინის
ხიბულის
ტეხურის
ხეთის
ფოთის
გაგრის

ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამხმარე მეურნეობა
ნოსირის კეთილშობილი დაფნის საბჭოთა მეურნეობა

**ამას გარდა, გადაეცემა შემდეგი ტორფის ქარხნები და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი სახელოსნოები:**

ფოთის ტორფის ქარხანა
ქობულეთის ტორფის ქარხანა
ზუგდიდის ტორფის ქარხანა

სამტრედიის ხისდამმუშავებელი და მექანიკური სახელოსნო

ბათუმის ხისდამმუშავებელი და მექანიკური სახელოსნო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 20 მარტის № 160
დადგენილების დანართი № 2

## ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოსი ხელმძღვანელობა**

**საწარმოო-ტექნიკური სამმართველო**

მემცენარეობის განყოფილება
მეცხოველეობის განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსური მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის განყოფილება

**საგეგმო-საფინანსო სამმართველო**

**კაპიტალური მშენებლობის განყოფილება**

**ცენტრალური ბუღალტერია**

**ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 20 მარტის № 160
დადგენილების დანართი № 3

## შ ტ ა ტ ე ბ ი

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოსი

| | |
|---|---|
| მთავარ სამმართველოს უფროსი | 1 |
| მთავარ სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე | 1 |
| მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე | 1 |
| უფროსი ინსპექტორი კადრებისა და სპეცმუშაობის დარგში | 1 |
| მდივანი-მემანქანე | 1 |

### საწარმოო-ტექნიკური სამმართველო

| | |
|---|---|
| სამმართველოს უფროსი | 1 |

### მემცენარეობის განყოფილება

| | |
|---|---|
| განყოფილების გამგე, იგივე მთავარ სამმართველოს მთავარი აგრონომი | 1 |
| უფროსი აგრონომ-ინსპექტორი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების დარგში | 1 |
| უფროსი აგრონომ-ინსპექტორი მევენახეობა-მებაღეობის დარგში | 1 |
| აგრონომ-ინსპექტორი ერთწლიანი კულტურების დარგში (მარცვლეული, ბოსტნეული, საკვები) | 1 |
| აგრონომი მცენარეთა დაცვის დარგში | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველეობის განყოფილება

| | |
|---|---|
| განყოფილების უფროსი, იგივე მთავარ სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი | 1 |
| უფროსი ზოოტექნიკოსი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხაზით | 1 |
| უფროსი ზოოტექნიკოსი მეცხვარეობის დარგში | 1 |
| ზოოტექნიკოსი მეფრინველეობისა და მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების დარგში | 1 |
| ზოოტექნიკოსი მეღორეობის დარგში | 1 |
| ვეტექიმი | 1 |

კომპლექსური მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის განყოფილება

| | |
|---|---|
| განყოფილების უფროსი, იგივე მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი | 1 |
| უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დარგში | 1 |
| უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის დარგში | 1 |
| ინჟინერ-მექანიკოსი | 1 |

საგეგმო-საფინანსო სამმართველო

| | |
|---|---|
| სამმართველოს უფროსი | 1 |
| მგეგმავი ზოოტექნიკოსი | 1 |
| მგეგმავი აგრონომი | 1 |
| უფროსი ეკონომისტი მატერიალურ-ტექნიკური ფონდების დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტ-ფინანსისტი | 1 |
| ეკონომისტი | 1 |
| უფროსი სპეციალისტი (ზოოტექნიკოსი ან აგრონომი) შრომის დანორმვის ორგანიზაციის დრგში | 1 |

კაპიტალური მშენებლობის განყოფილება

| | |
|---|---|
| განყოფილების უფროსი | 1 |
| უფროსი ინჟინერი | 1 |
| ინჟინერი | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| **ცენტრალური ბუღალტერია** | |
| მთავარი ბუღალტერი | 1 |
| უფროსი ბუღალტერი | 1 |
| ბუღალტერი | 1 |
| მოანგარიშე | 1 |
| რევიზორ-ბუღალტერი | 2 |
| **ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი | 1 |
| საქმისმწარმოებელი | 1 |
| მეურნეობის გამგე | 1 |
| იურისკონსულტი | 1 |
| მემანქანე | 2 |
| დამლაგებელი | 1 |
| შიკრიკი-დამლაგებელი | 1 |
| სულ მთავარ სამმართველოში | 45 |

შენიშვნა: თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ: აგრონომებს — სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 25 ოქტომბრის № 1926 დადგენილებისა და 1946 წლის 15 თებერვლის № 373 დადგენილების შესაბამისად, ხოლო ზოოტექნიკოსებს — სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 9 იანვრის № 30 დადგენილების შესაბამისად. ინჟინერ-მექანიზატორებს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 30 ნოემბრის № 1331 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 20 მარტის № 166
დადგენილების დანართი № 4

რაოდენობა საშტატო ერთეულებისა, რომლებიც უნდა შემცირდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს ცენტრალურ აპარატში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს აპარატის შტატების დასაკომპლექტებლად

| | რაოდე-ნობა | ძირითადი ხელფასის ფონდი | პერსონალუ-რი დანამა-ტები | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით | 25 | 2.200 | 625 | 2.825 |
| სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით | 5 | 700 | 90 | 790 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჯორჯაძე.**

**24** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 სექტემბრის № 606 დადგენილებით დამტკიცებული „დებულების“ საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის და ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ“ VI განაყოფის დამატების შესახებ**

დაემატოს განაყოფს VI „დებულებისა საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის და ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ“ მუხლი 40-ა და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს მუშაკებს, სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობათა მუშაკებს (გარდა საანგარიშო დარგის და ტექნიკური პერსონალისა), ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორებს, ნადირობამცოდნეებს ნება ეძლევათ ატარონ რევოლვერი, ხოლო ნადირობის სახელმწიფო ეგერებს — კარაბინი.

იარაღის მიღება, ტარება, შენახვა და გამოყენება ხდება დადგენილი წესების შესაბამისად“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 24 მარტი, № 168.

**25** **რაიონული საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მოწყობის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 თებერვლის № 152 დადგენილების შესაბამისად, მოეწყოს რაიონული საცდელ-საჩვენებელი მეურნეობანი, დანართის თანახმად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რაიაღმასკომებს განახორციელონ საჭირო ღონისძიება-

ნი საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებში მაღალ მეცნიერულ დონე-ზე მეურნეობების გაძღოლისათვის, რაც უზრუნველყოფს სასოფ-ლო-სამეურნეო პროდუქტების მაქსიმალურ წარმოებას პროდუქ-ციის ერთეულზე შრომისა და სახსრების მინიმალური დანახარჯე-ბით, ამასთან მეურნეობის ისეთ გაძღოლას, რომელიც სანიმუშო მაგალითი გახდება რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მე-ურნეობებისათვის.

3. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სათანადო რაიაღმასკო-მებთან შეთანხმებით, წარმოადგინოს დამატებითი წინადადებანი რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში საცდელ-საჩვენებელი მეურ-ნეობების მოწყობის შესახებ.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამი-ნისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრ-თა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმარ-თველოს დაამუშაონ და წარმოადგინონ წინადადებანი საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების შტატების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 24 მარტი, № 169.

მუხ. 25
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 24 მარტის № 169
დადგენილების დანართი

## ს ი ა

### საცდელ-საჩვენებელი მეურნეობებისა

| რაიონების დასახელება | საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების დასახელება |
|---|---|
| 1. ხაშურის<br>2. ბორჯომის | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა. |
| 3. გორის | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს კარალეთის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა. |
| 4. კასპის | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. |
| 5. მცხეთის | საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობა. |
| 6. სამგორის | ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობა. |
| 7. საგარეჯოს | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს საგარეჯოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა. |
| 8. წითელწყაროს | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა |
| 9. თიანეთის | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს თიანეთის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა |
| 10. საჩხერის<br>11. ჭიათურის | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა |
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 3 აპრილის № 208
დადგენილების დანართი № 6

## ს ი ა

### საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო დ ა ნ:

სასაძოვრო-სამელიორაციო სამშენებლო სამმართველო გაწყლიანების ნაგებობათა საექსპლუატაციო სამსახურის გამოკლებით (იაგლუჯა, კუშისხევი და ყიზლარი)

სოფლის ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო — „საქმთავარსოფლელექტრო“ მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებითა და საწარმოებით

ქუთაისის სარემონტო-სამშენებლო კანტორა
მეცხოველეობის სამანქანო სადგური ჩრდილოეთ კავკასიაში
საქართველოს სსრ ყველა სამანქანო-სამელიორაციო და სარემონტო-ტექნიკური სადგური

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ი ნ ი ს ტ რ თ ა ს ა ბ ჭ ო ს თ ა ნ ა რ ს ე ბ უ ლ ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ე ბ ი ს მ თ ა ვ ა რ ს ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ი ს ტ ე მ ი დ ა ნ:

წალკის სარემონტო-ტექნიკური სადგურის ყოფილი სარემონტო სახელოსნო, რომელიც წინათ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს გადაეცა

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ ს ა ხ ა ლ ხ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ს მ ო მ ა რ ა გ ე ბ ა-გ ა ს ა ღ ე ბ ი ს მ თ ა ვ ა რ ს ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო დ ა ნ:

ყველა ნავთობბაზა, რომლებიც წინათ სარემონტო-ტექნიკური სადგურებიდან გადაეცა მთავსათბობმმარაგგასაღებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროდან:

სარემონტო სახელოსნოები, კანტორებისა და საცხოვრებელი სახლების სადგომები საგარეჯოში, საჩხერეში, მაიაკოვსკსა და ცაგერში, რომლებიც წინათ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გადაეცა სარემონტო-ტექნიკური სადგურებიდან

სამუშაო მდგომარეობაში მყოფი 125 ავტოცისტერნი, რომლებიც წინათ გადაცემული იყო სარემონტო-ტექნიკური სადგურებიდან

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქმთავმანქანვაჭრობიდან:

რესპუბლიკური ცენტრალური ბაზა მისდამი დაქვემდებარებული ბაზებით, საწყობებით, სავაჭრო და წარმოებითი საწარმოებით

სათადარიგო ნაწილების გასაყიდი ყველა სპეციალიზებული მაღაზია, რესპუბლიკური კანტორები და სარაიონთაშორისო განყოფილებები მთელი თავისი ბაზებით, საწყობებით, სავაჭრო და წარმოებითი საწარმოებით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 3 აპრილის № 208
დადგენილების დანართი № 7

# ს ი ა

## სარაიონთაშორისო სამანქანო-სამელიორაციო სადგურებისა, რომლებსაც მიკუთვნებული აქვთ რესპუბლიკური გაერთიანება „სასოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების ფუნქციები

| სამანქანო-სამელიორაციო სადგურები | ტექნიკის, მატერიალური რესურსებასა და სატრაქტორო პარკის რემონტის მხრივ მომსახურების რაიონები |
|---|---|
| წნორის | სიღნაღის |
| მარნეულის | მარნეულის |
| გორის | გორის |
| აბაშის | აბაშის, გეგეჭკორის |
| თერჯოლის | თერჯოლის, ტყიბულის |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 3 აპრილის № 208
დადგენილების დანართი № 8

## სანიმუშო სტრუქტურა და შტატები

### სარაიონთაშორისო სამანქანო-სამელიორაციო სადგურებისა, რომლებსაც მიკუთვნებული აქვთ რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების ფუნქციები

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| დირექტორი | 1 |
| მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი — დირექტორის მოადგილე | 1 |
| მთავარი ინჟინერ-მელიორატორი | 1 |
| უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მდგომარეობისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტ-მგეგმავი | 1 |
| ინჟინერ-მექანიზატორი | 2 |
| მდივანი-მემანქანე | 1 |
| შიკრიკი-დამლაგებელი | 1 |
| მეურნეობის გამგე — სახანძრო-სადარაჯო დაცვის უფროსი | 1 |
| ს უ ლ | 10 |
| **კომერციულ-სავაჭრო კანტორა** | |
| უფროსი — დირექტორის მოადგილე | 1 |
| საწყობის გამგე | 2–3 |
| უფროსი ბუღალტერი | 1 |
| ბუღალტერი | 1–2 |
| ს უ ლ | 5–7 |
| **სარემონტო სახელოსნო** | |
| სარემონტო სახელოსნოს გამგე | 1 |
| ტექნიკოს-ნორმადარი | 1 |
| ბუღალტერი | 1 |
| ს უ ლ | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| **ბუღალტერია** | |
| მთავარი ბუღალტერი | 1 |
| მთავარი ბუღალტრის მოადგილე | 1 |
| ბუღალტერი | 2 |
| მოანგარიშე-მოლარე | 1 |
| ს უ ლ | 5 |
| მ თ ლ ა დ | 23–24 |
| **რაიონების მომსახურებისათვის წესდება დამატებითი შტატი თვითეულ სარემონტო სახელოსნოზე** | |
| სარემონტო სახელოსნოს გამგე | 1 |
| ტექნიკოს-ნორმადარი | 1 |
| ბუღალტერი | 1 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

## 31 სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სასწავლო წლის ხანგრძლივობისა და სასწავლო გეგმების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის დონის ამაღლების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განისაზღვროს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების III—IV კლასებში სასწავლო წლის ხანგრძლივობა 35 სასწავლო კვირით 18 კვირეული საათით, V—VII კლასებში — 36 სასწავლო კვირით 21 კვირეული საათით, VIII—X კლასებში — 37 სასწავლო კვირით, აქედან VIII კლასში — 21 კვირეული საათით, IX—X კლასებში კი — 22 კვირეული საათით, XI კლასში — 38 სასწავლო კვირით 22 კვირეული საათით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სასწავლო წლის დაწყება დააწესოს 1-ლ სექტემბერს და დამთავრება — ივნისის დამლევისათვის;

ბ) დაამტკიცოს თვითეული კლასისათვის ცალკეულ სასწავლო საგნებზე საათების განაწილება. ამასთან გაითვალისწინოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა საწარმოო პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და დამოუკიდებელი მუშაობისათვის საკონსულტაციო საათების გამოყოფა, სასწავლო გეგმით დამტკიცებულ საერთო საათების ფარგლებში.

3. ამ ცვლილებასთან დაკავშირებით საჭირო დამატებითი თანხები გაღებულ იქნას 1961 წლის ადგილობრივ ბიუჯეტებში განათლების ღონისძიებებზე გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირცხულავა.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 3 აპრილი, № 215.

## 32 რაიონული საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მოწყობის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 თებერვლის № 152 დადგენილების შესაბამისად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 და 31 მარტის №№ 169 და 200 დადგენილებების დამატებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს რაიონული საცდელ-საჩვენებელი მეურნეობები, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 24 მარტის № 169 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, წითელწყაროს რაიონში რაიონულ საცდელ-საჩვენებელ მეურნეობად დამტკიცდეს სოფ. ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 13 აპრილი, № 232.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 13 აპრილის № 232
დადგენილების დანართი

## ს ი ა

### ახლად მოწყობილი საცდელ-საჩვენებელი მეურნეობებისა

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | საცდელ-საჩვენებელი მეურნეობები |
|---|---|
| 1. ქარელის | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა |
| 2. ახმეტის | სოფ. ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა |
| 3. თერჯოლის | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა |
| 4. მაიაკოვსკის<br>ვანის | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა |
| 5. ჩოხატაურის | სოფ. გორაბერეჟოულის კოლმეურნეობა |
| 6. მესტიის | სოფ. მესტიის კოლმეურნეობა |
| 7–8. ამბროლაურის<br>ონის | სოფ. სადმელის კოლმეურნეობა (ამბროლაურის რაიონი) |
| ცაგერის<br>ლენტეხის | სოფ. ცაგერის კოლმეურნეობა (ცაგერის რაიონი) |
| 9. აბაშის | სოფ. ნორიოს კოლმეურნეობა |
| 10. გეგეჭკორის | სოფ. ნაგვაზაოს კოლმეურნეობა |
| 11. ბოგდანოვკის | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს საღამოს მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა |
| 12. ყაზბეგის<br>დუშეთის | სოფ. მლეთის კოლმეურნეობა (დუშეთის რაიონი) |
| **ა ჭ ა რ ი ს  ა ს ს რ** | |
| 13. ბათუმის | სოფ. ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა |
| 14. ხულოს<br>ქედის<br>შუახევის | სოფ. ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა (ხულოს რაიონი) |
| **ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს  ა ს ს რ** | |
| 15. გაგრის | სოფ. ალახაძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა |
| **სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი** | |
| 16. ლენინგორის | სოფ. ბოლის კოლმეურნეობა |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

## 33 საქართველოს სს რესპუბლიკაში თევზსამეურნეო წყალსატევებისადმი სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის მოწყობის შესახებ

თევზსამეურნეო წყალსატევების ვეტერინარულ მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, მათდამი სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლის განხორციელების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 დეკემბრის № 1239 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკის თევზსამეურნეო წყალსატევებში თევზის დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა, თევზის გადამდებ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, აგრეთვე იმისადმი კონტროლი, რომ სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოებმა განახორციელონ ვეტერინარულ-სანიტარული და ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებანი.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ ფინანსთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და ცეკავშირის გამგეობას ყოველწლიურად გაითვალისწინონ გეგმებით საჭირო ასიგნობანი და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი თევზსამეურნეო ორგანიზაციებისათვის თევზსამეურნეო წყალსატევებში თევზის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ვეტერინარულ-სანიტარულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

მიმდინარე წელს გაწეულ იქნას აღნიშნული ხარჯები 1961 წლის გეგმით გათვალისწინებულ საერთო ასიგნობათა ანგარიშში.

3. აიკრძალოს თევზის, ქვირითის, კიბოსებრი და წყლის სხვა ცხოველთა გადაყვანა გამოზრდის, მოშენებისა და აკლიმატიზაციის მიზნით სხვა თევზსამეურნეო წყალსატევებში ისე, თუ წარდგენილი არ იქნება სახელმწიფო ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოების მიერ გაცემული სათანადო მოწმობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 19 აპრილი, № 240.

## 34 საკოლმეურნეო ბაზრებზე პირუტყვის ხორცით ვაჭრობის გაუმჯობესებისა და ქალაქ თბილისის ვეტერინარული ქსელის რეორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საკოლმეურნეო ბაზრებზე პირუტყვის ხორცით ვაჭრობის საქმეში გამოვლინებულია სერიოზული უწესრიგობანი.

ნაცვლად იმისა, რომ საკოლმეურნეო ბაზრებზე შემოტანილ იქნას ხორცკომბინატებსა და სასაკლაოებში გადამუშავებული და ვეტერინარული ექსპერტიზის მიერ წინასწარ შემოწმებული მაღალხარისხოვანი ხორცი, მარტო თბილისის ბაზრებზე გასულ წელს შემოზიდეს 1236 სხვადასხვა სახის შეუმოწმებელი პირუტყვი. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, ცეკავშირის რაიონული ორგანიზაციებისა და ვეტერინარული სამსახურის ორგანოების ზედამხედველობის შესუსტების შედეგად დუშეთის, მარნეულის, გეგეჭკორის, აბაშის, ცხაკაიას, ზუგდიდის, თეთრიწყაროსა და სხვა რაიონებში მოსახლეობა პირუტყვს, მათ შორის დაავადებულს, თვითნებურად კლავს ეზოებში. სპეციალური შემოწმებით გამოვლინებულია ფინოზის, ციმბირის წყლულისა და სხვა დაავადებათა 200-ზე მეტი შემთხვევა (18.4 ტონა ხორცი და მისი პროდუქტები), რაც ამ დაავადებათა ადამიანთა შორის გავრცელების საფრთხესა ქმნის. გარდა ამისა, ვინაიდან მოსახლეობის ნაწილი პირუტყვის ხორცითა და პირუტყვით ვაჭრობს, მათი კუთვნილების შესახებ დამადასტურებელი საბუთების გარეშე, — არაკეთილსინდისიერ პირებს სპეკულაციის საშუალება ეძლევათ.

საკოლმეურნეო ბაზრებში შეუმოწმებელი პირუტყვის ხორცის შემოზიდვა იწვევს აგრეთვე ვეტზედამხედველობის მიერ მთელ რიგ იძულებითს, მაგრამ აუცილებელ შეზღუდვას, რაც თავის მხრივ აძნელებს ხორცით ვაჭრობის საქმეს.

ამასთან საკოლმეურნეო ბაზრებში მომუშავე ხორცის საკონტროლო სადგურებისა და ვეტერინარული ექსპერტიზის ლაბორატორიების ზოგიერთი სპეციალისტი, ნაცვლად იმისა, რომ ამ ბაზრების ადმინისტრაციასთან ერთად ყოველმხრივ აძლიერებდეს მუშაობასა და აღკვეთავდეს ხორცით ვაჭრობის საქმეში არსებულ დარღვევებსა და შეზღუდვებს, თვითონ, გამოძალვის მიზნით ხორცის შემოწმების საბაბით, ხორცის გამყიდველებს ხელოვნურად უქმნის სიძნელეებს, აფერხებს და განგებ ართულებს შემოწმების პროცესებს.

შემოწმებით გამოვლინებულია აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრე-

მუზ. 34

ბისა და სახელმწიფო სავაჭრო ობიექტების გარეშე პირუტყვის ხორცით ვაჭრობის ფაქტებიც.

ამჟამად ქ. თბილისში ქალაქის საბჭოს ვეტგანყოფილების ქსელის ზოგიერთი ვეტერინარული დაწესებულება არასრული დატვირთვით მუშაობს, ხოლო სამგორის რაიონში საბჭოთა მეურნეობების შექმნასთან დაკავშირებით სახელმწიფო ვეტერინარული ქსელი საჭიროებს გადასინჯვას შემცირების თვალსაზრისით.

პირუტყვის ხორცით ვაჭრობისა და პირუტყვის დაკვლის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების, აგრეთვე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სისტემაში შემავალი ვეტსანიტარული ქსელის სპეციალისტების რაციონალურად გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს აკრძალონ:

ა) გასაყიდად განკუთვნილი პირუტყვის ეზოებში დაკვლა; პირუტყვის სახორცედ გადამუშავება აწარმოონ ხორცკომბინატებსა, სასაკლაოებში და სასაკლაო მოედნებზე და უზრუნველყონ პირუტყვის დაკვლამდე და დაკვლის შემდეგ მისი ვეტერინარული შემოწმება და სათანადო მოწმობის გაცემა;

ბ) ცოცხალი პირუტყვითა და ხორცით ვაჭრობა ბაზრებისა და მაღაზიების გარეშე;

გ) „ა“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული წესის დარღვევით საკოლმეურნეო ბაზრებზე ხორცის ან ცოცხალი პირუტყვის შემოზიდვა და გაყიდვა.

2. ამ დადგენილების პირველ მუხლში ჩამოთვლილი წესების დარღვევის შემთხვევაში დამნაშავე პირებს ჩამოერთმევათ პირუტყვის ხორცი და პირუტყვი; უკეთუ ჩამორთმეული პირუტყვის ხორცი ან პირუტყვი ხარისხიანი აღმოჩნდება, მათი ღირებულება აუნაზღაურდებათ მეპატრონეებს სახელმწიფო შესყიდვის ფასებით, ხოლო მათი უვარგისობის შემთხვევაში გადახდებათ ჯარიმა 20-დან 50 მანეთამდე.

3. დაწესდეს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემის ხორცკომბინატებსა და სასაკლაოებში დაკლული პირუტყვის ტანხორცის რეალიზაცია ბაზრებსა და ქალაქების ხორცის საფირმო სპეციალიზებულ მაღაზიებში წარმოებს განმეორებითი ვეტერინარული ექსპერ-

ეროვნული

ტიზის გარეშე. ამ ხორცის ვარგისიანობასა და ხარისხზე პასუხის-მგებლობა დაეკისროს ხორცის გამომშვებ წარმოებას.

დაწესდეს აგრეთვე, რომ საკოლმეურნეო ბაზრებზე სარეალიზაციოდ შემოსატანი პირუტყვის ხორცის პირველადი შემოწმება უნდა წარმოებდეს დაკვლის ადგილზე ხორცკომბინატების, სასაკლაოების, სასაკლაო მოედნებისა და სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის მიერ.

4. პირადი საკუთრების პირუტყვის რეალიზაციისა და მისი დაკვლის საქმეში წესრიგის დამყარების მიზნით დაწესდეს, რომ ვეტმოწმობის გასაცემად სავალდებულო წესით წარდგენილი უნდა იქნას სასოფლო საბჭოს ცნობა პირუტყვის კუთვნილებაზე. სასაკლაოებისა და ხორცკომბინატების ხელმძღვანელებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნაზე.

დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ და საქალაქო აღმასკომებს დაამყარონ მკაცრი წესრიგი მოქალაქეებისა და კოლმეურნეებისათვის ამ ცნობების მიცემის საქმეში.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და ვაჭრობის სამინისტროებმა, აგრეთვე სახალხო მეურნეობის საბჭომ სისტემატურად შეამოწმონ ხორცკომბინატების, სასაკლაოების, სასაკლაო მოედნებისა და მაცივრების მუშაობა, ბაზრებზე და სავაჭრო ქსელში პირუტყვის ხორცით ვაჭრობის გაუმჯობესების მიზნით და ვეტერინარულ-სანიტარული წესრიგის დასამყარებლად.

6. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას საგანგებოდ განიხილოს სასაკლაოებისა და სასაკლაო მოედნების, აგრეთვე ხორცითა და ხორცის პროდუქტებით ვაჭრობის გაუმჯობესების საკითხები და უზრუნველყოს გამოშვებული პროდუქციისადმი მკაცრი ვეტერინარულ-სანიტარული კონტროლის დაწესება. ამასთან გაატაროს განსაკუთრებული ღონისძიებანი სპეკულანტური ელემენტების წინააღმდეგ და დაამყაროს წესრიგი ხორცით ვაჭრობის ქსელში.

7. შემცირდეს 1961 წლის 1 მაისიდან ქ. თბილისის ვეტერინარულ ქსელში 20 საშტატო ერთეული 1021 მანეთი და 50 კაპ. თვიური ხელფასის ფონდით, № 1 დანართის თანახმად.

8. გარდაიქმნას 1961 წლის 1 მაისიდან ქალაქის ვეტსამკურნალო ორჯონიკიძის რაიონში ამავე რაიონის ვეტერინარულ-სანიტარულ პუნქტად.

9. გაერთიანდეს 1961 წლის 1 მაისიდან 26 კომისრის [illegible] არსებული ორი დაწესებულება — ქალაქის ვეტერინარული სადგური და ქალაქის ვეტერინარული პოლიკლინიკა ერთ ორგანიზაციად — ქალაქის ვეტერინარულ სადგურ-პოლიკლინიკად 30 საშტატო ერთეულით 1,288 თვიური ხელფასის ფონდით, № 2 დანართის თანახმად.

10. გადაეცეს 1961 წლის 1 მაისიდან ქალაქის ვეტერინარული სადგურის სეროლოგი-ვეტექიმისა და ბაქტერიოლოგ-ლაბორანტის 2 ერთეული რესპუბლიკურ ვეტბაქლაბორატორიას ტყავების ასკოლიზაციის ჩასატარებლად.

დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, აღნიშნული შტატების შემცირებასა და ვეტქსელის გარდაქმნასთან დაკავშირებით, გადაანაწილოს არსებულ ქსელში ვეტერინარული მომსახურების ფუნქციები.

11. იმასთან დაკავშირებით, რომ სამგორის რაიონში ყველა კოლმეურნეობა გარდაქმნილია საბჭოთა მეურნეობად, ხოლო ამ მეურნეობათა პირუტყვი და ფრინველი უზრუნველყოფილია საკუთარი ვეტერინარებით, დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ორი კვირის ვადაში განიხილონ სამგორის რაიონში სახელმწიფო ვეტერინარული ქსელის მოწესრიგების, პარალელიზმისა და ზედმეტობის აღმოფხვრის საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 19 აპრილი, № 241.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 19 აპრილის № 241
დადგენილების დანართი № 1

## ქალაქ თბილისის ვეტერინარული ქსელის ზოგიერთ ვეტდაწესებულებაში შემცირებული საშტატო ერთეულები და ხელფასის ფონდი

| დაწესებულებათა დასახელება | თანამდებობა | ერთეულების რაოდენობა | ხელფასის თვიური განაკვეთი | ხელფასის წლიური ფონდი |
|---|---|---|---|---|
| 1. ქ. თბილისის სტალინის სახ. რაიონის ვეტერინარულ-სანიტარული პუნქტი | ვეტექიმი | 1 | 71 | 592 |
| | სანიტარი | 1 | 31 | 248 |
| 2. ოქტომბრის რაიონის ვეტსანიტარული პუნქტი | ვეტექიმი | 1 | 74 | 592 |
| | სანიტარი | 1 | 31 | 248 |
| 3. ორჯონიკიძის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის (საბურთალო) ვეტერინარული ექსპერტიზის ლაბორატორია | ვეტექიმი | 1 | 79 | 711 |
| | ლაბორანტი-ტრიხინოსკოპისტი | 1 | 50 | 450 |
| | ლაბორანტი-ქიმიკოსი | 1 | 50 | 450 |
| | ვეტსანიტარი | 1 | 31 | 279 |
| 4. ლენინის რაიონის ქალაქის ვეტერინარული სამკურნალო | ვეტფერშალი | 1 | 50 | 400 |
| 5. 26 კომისრის რაიონის: ა) ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზრის ვეტექსპერტიზის ლაბორატორია | ლაბორანტი-ტრიხინოსკოპისტი | 1 | 50 | 400 |
| ბ) საკოლმეურნეო ბაზრის (დიმიტროვის ქარხანა) ვეტექსპერტიზის ლაბორატორია | ლაბორანტი-ქიმიკოსი | 1 | 50 | 400 |
| 6. ოქტომბრის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის ვეტექსპერტიზის ლაბორატორია | ლაბორანტი-ტრიხინოსკოპისტი | 1 | 50 | 400 |
| 7. ორჯონიკიძის რაიონის ქალაქის ვეტსამკურნალო | ვეტფერშალი | 1 | 30 | 240 |
| | მეეზოვე | 1 | 30 | 240 |
| 8. 26 კომისრის რაიონის ქალაქის ვეტერინარულ-სანიტარული სადგური | ვეტექიმი | 1 | 79 | 632 |
| | ვეტფერშალი | 1 | 50 | 400 |
| | სანიტარი | 1 | 33—50 | 268 |
| 9. ამავე რაიონის ქალაქის ვეტერინარული პოლიკლინიკა | ვეტექიმი | 1 | 79 | 632 |
| | ვეტფერშალი | 1 | 50 | 400 |
| | მეეზოვე | 1 | 30 | 240 |
| სულ | | 20 | 1021—50 | 8382 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 19 აპრილის № 241
დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საშტატო განრიგი

თბილისის საბჭოს აღმასკომის ვეტერინარული ქსელისა, რომელიც ქალაქის ვეტერინარულ სადგურსა და პოლიკლინიკას ეძლევა

| თანამდებობის დასახელება | ერთეულების რაოდენობა | თანამდებობრივი განაკვეთი | სულ ხელფასი თვეში |
|---|---|---|---|
| 1. ქალაქის ვეტერინარული სადგურისა და პოლიკლინიკის დირექტორი, ბაქტერიოლოგიური განყოფილების გამგე — ვეტექიმი | 1 | 79 | 79 |
| 2. ლაბორანტი-ბაქტერიოლოგი | 1 | 60 | 60 |
| 3. ლაბორანტი-ქიმიკოსი | 1 | 50 | 50 |
| 4. სანიტარულ-პროფილაქტიკური განყოფილების გამგე-ვეტექიმი | 1 | 69 | 69 |
| 5. სანიტარულ-პროფილაქტიკური განყოფილების ვეტექიმი | 1 | 79 | 79 |
| 6. ვეტფერშალი | 2 | 50 | 100 |
| 7. ვეტსანიტარი | 2 | 33—50 | 67 |
| 8. ძაღლების დამჭერი | 8 | 31 | 248 |
| 9. ავტომანქანის მძღოლი | 8 | 41—50 | 332 |
| 10. ავტომანქანა „დუკის“ მძღოლი | 1 | 41—50 | 41—50 |
| 11. ავტომანქანა „ვეტამბულატორიის“ მძღოლი | 1 | 41—50 | 41—50 |
| 12. აფთიაქის გამგე | 1 | 55 | 55 |
| 13. დარაჯი | 2 | 30 | 60 |
| სულ | 30 | | 1282 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ეროვნული

## 35 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაემატოს მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 2 აპრილის № 192 დადგენილებით, შემდეგ სიტყვებისა „მონაწილეობით პერსპექტივები“ სიტყვები: „მთლიანად საქართველოს სსრ-ში და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, აგრეთვე...“ და შემდეგ არსებული ტექსტის მიხედვით, ამასთან ამოღებულ იქნას კავშირი „და“. ამასთან დაკავშირებით დებულების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შეიმუშაოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის მონაწილეობით პერსპექტივები მთლიანად საქართველოს სსრ-ში და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში ეკონომიკის განვითარებისა, აგრეთვე პერსპექტივები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებისა 15—20 წლისათვის“.

2. დებულების მე-8 მუხლს დაემატოს მეოთხე აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„შეიტანოს საჭირო შემთხვევებში, მაგრამ კვარტალის დამთავრებამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ცვლილებანი სამრეწველო წარმოების კვარტალურ გეგმებში, შრომის, ხელფასის ფონდებისა და წარმოების ხარჯების გეგმებში, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ, ისე რომ უცვლელი დარჩეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პროდუქციის მიწოდების გეგმები და ბიუჯეტთან ურთიერთდამოკიდებულება“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 22 აპრილი, № 251.

## 36 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 იანვრის № 25 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეიცვალოს მუხლი 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 იანვრის № 25 დადგენილებისა „გეგმის გადამეტებით გამომუშავებული და დამზადებული პროდუქციის გამოყენების წესის შესახებ“ და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ყოველი კვარტალის დამთავრების შემდეგ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ პროდუქციის განაწილების პროექტი, რომელიც გამომუშავებული და დამზადებულია კვარტალური გეგმისა და დამატებითი დავალებების გადამატებით და რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში რჩება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1326 დადგენილების შესაბამისად.

განაწილების წარმოდგენილი პროექტებით გაითვალისწინოს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოეყოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების მიერ კვარტალური გეგმისა და დამატებითი დავალებების გადამეტებით გამომუშავებული პროდუქცია, იმ პროდუქციის რაოდენობის არა ნაკლებ 35 პროცენტისა, რაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში რჩება, აგრეთვე გაითვალისწინოს, რომ გამოეყოს პროდუქცია ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქსა და საქალაქო (რაიონულ) აღმასკომებს, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ის საწარმოები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები, გარდა სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლისა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 26 აპრილი, № 257.

## 37 მსუბუქი ავტომობილებით სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის დამატებითი ზომების შესახებ

ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 23 მარტის № 277 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ინდივიდუალურ მფლობელთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილების გაყიდვა მოხდეს მხოლოდ საკომისიო საწყისებზე, სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიების მეშვეობით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს უზრუნველყოს მსუბუქი ავტომობილებით საკომისიო ვაჭრობის სათანადო ორგანიზაცია და მოაწყოს ინდივიდუალურ მფლობელთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილების მიღება საკომისიოდ და მათი შემდგომი გაყიდვა სახელმწიფო ვაჭრობის საკომისიო მაღაზიების მეშვეობით ქალაქ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, რუსთავში, ფოთში, მახარაძეში, ზუგდიდში, ახალციხეში, სამტრედიაში, გორში, თელავში, ხაშურში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ცხაკაიასა და ტყიბულში.

რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებს მოემსახურებიან ზემოაღნიშნული მაღაზიები.

3. დაწესდეს, რომ ინდივიდუალურ მფლობელთა კუთვნილ ავტომობილებს მიიღებენ გასაყიდად საკომისიო მაღაზიები შესაბამისი საქალაქო (რაიონული) აღმასკომების ცნობებით ავტომობილის ღირებულების შესახებ, რაც დადგენილი იქნება მოქმედი საპრეისკურანტო ფასების გაცვეთის გათვალისწინებით და სავაჭრო ფასდაკლების დაქვითვით;

საკომისიო მაღაზიის მიერ გასაყიდად ავტომობილის ღირებულებას დაადგენს საქალაქო (რაიონულ) აღმასკომებთან სპეციალურად შექმნილი კომისია, რომელსაც მეთაურობს საქალაქო (რაიონული) აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, სავაჭრო ორგანიზაციის, საფინანსო ორგანოს წარმომადგენლების, აგრეთვე სახალხო მეურნეობის და სახელმწიფო ავტოინსპექციის ავტოსპეციალისტის შემადგენლობით.

4. აღინიშნოს, რომ ინდივიდუალურ მფლობელთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილების რეალიზაციისა და ექსპლუატაციის საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს. ერთი და იგივე პირები მთელ რიგ შემთხვევებში მოკლე ხნის მანძილზე იძენენ რამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმე ავტომანქანას, და ეს იმ დროს, როდესაც სხვები წლობით ელო-დიან რიგს და ავტომობილს ვერ იძენენ.

ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით, დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციასთან ერთად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიასთან შეთანხმებით, ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაოს ინსტრუქცია როგორც ახალი მსუბუქი ავტომობილების, ისე საკომისიო მაღაზიების მეშვეობით გასაყიდი ავტომობილების განაწილების, რეალიზაციის, გაფორმებისა და ექსპლუატაციის წესის შესახებ.

5. აეკრძალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციას იმ მსუბუქი ავტომობილების რეგისტრაცია, რომლებიც მოქალაქეებმა იყიდეს ავტომობილების ინდივიდუალური მფლობელებისაგან სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიების გვერდის ავლით ანააწყვეს მათ ცალკეული აგრეგატებისა და სათადარიგო ნაწილებისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 21 აპრილი, № 246.

## 38 „ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 სექტემბრის № 681 და 1960 წლის 3 ოქტომბრის № 689 დადგენილებების შესრულების მიმდინარეობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ არადამაკმაყოფილებლად ტარდება ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუ-

მის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებებით.

პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ სუსტად არიან ჩაბმული საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარების საქმე მთლიანად მიანდეს მილიციის ორგანოებს.

ქ. თბილისის რაისაბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით გასახლებული 87 პარაზიტული ელემენტიდან მოსახლეობის კრების შუამდგომლობის თანახმად გასახლებულია მხოლოდ ერთი კაცი (ლენინის სახელობის რაიონი), დანარჩენი 86 კაცის გასახლებაზე კი საკითხი აღძრული აქვთ მილიციის ორგანოებს, ასეთივე მდგომარეობაა ქ. რუსთავში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, ზუგდიდში, ცხაკაიასა და ტყიბულში.

ზოგიერთი საწარმოსა და სამშენებლო ობიექტების ხელმძღვანელებს არ განუხორციელებიათ ღონისძიებანი გასახლებულთა სამუშაოზე მიღების უზრუნველსაყოფად.

ა/კ მეტალურგიული ქარხნის სადახლოს საფლიუსე კირქვის წარმოებამ და ამავე ქარხნის დოლომიტის მაღარო — „აბანომ“ რამდენჯერმე უკან დააბრუნეს სამუშაოდ გაგზავნილი გასახლებული პირები.

ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები გასახლებულ პირებს ცალკეულ შემთხვევებში თვითნებურად აწყობენ სამუშაოდ ისეთ ობიექტებზე, რომლებიც გათვალისწინებული არ არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 სექტემბრის № 681 დადგენილებით.

მაგალითად, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1961 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით მეტალურგიული ქარხნის დოლომიტის მაღაროში სამუშაოდ გაგზავნილი პირი მოაწყეს ქარელის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის სახელოსნოში.

აგრეთვე არის შემთხვევები, როდესაც გასახლებული პირები თვითნებურად ტოვებენ სამუშაოს, ხოლო მათ წინააღმდეგ არ არის მიღებული საკმაო ზომები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაუყოვნებლივ განიხილონ „ანტისაზოგადოებრივი, პარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 სექტემბრის № 681 და 1960 წლის 3 ოქტომბრის № 689 დადგენილებების შესრულების მიმდინარეობა და მიიღონ ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, ტრესტ „საქჰიდროენერგომშენს“, ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ უზრუნველყონ აღმასკომების გადაწყვეტილებებით გასახლებულ პირთა სამუშაოზე დაუბრკოლებლივ მოწყობა იმ ობიექტებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რესპუბლიკის პროკურატურას გააძლიერონ ბრძოლა პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ, განსაკუთრებით იმ გასახლებულთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ სამუშაოს.

4. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს და იმ ობიექტების ხელმძღვანელებს, სადაც გასახლებულები მუშაობენ, გაშალონ აღმზრდელობითი მუშაობა და ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ მათ მუშაობას.

5. დაევალოს საქალაქო, რაიონულ და სადაბო საბჭოების აღმასკომებს ფართოდ გააცნონ მოსახლეობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულება და ამ საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 ოქტომბრის № 689 დადგენილებით დამტკიცებული დებულება.

6. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის რესპუბლიკურ სამმართველოს უზრუნველყოს აღმასკომების გადაწყვეტილებებით გასახლებული პარაზიტული ელემენტების სამუშაო ობიექტებზე განაწილება-გაგზავნის მოწესრიგება.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 სექტემბრის № 681 დადგენილების პირველ მუხლში გათვალისწინებულ ობიექტებს დაემატოს ტრესტ საქჰიდროენერგომშენის „ენგურჰესის“ მშენებლობა და ჯანდარის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა.

დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს და ტრესტ „საქჰიდროენერგომშენს“ უზრუნველყონ გასახლებული პირების მიღება ჯანდარის საბჭოთა მეურნეობაში და „ენგურჰესის“ მშენებლობაზე მიმდინარე წლის ივნისიდან.

8. ა/კ მეტალურგიული ქარხნის დირექციის ყურადღება მიექცეს იმას, რომ მან არ მიიღო საჭირო ზომები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 სექტემბრის № 681 დადგენილების შესასრულებლად.

მეტალურგიული ქარხნის დოლომიტის მაღარო — „აბანოს“ უფროსს ამხ. ბახტაძეს და სადაბლოს საფლიუსე კირქვის კარიერის უფროსს ამხ. შ. ტურიაშვილს, რომლებმაც არ შეასრულეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება და რამდენჯერმე დააბრუნეს მათთან სამუშაოდ გაგზავნილი გასახლებული პარაზიტული ელემენტები, გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური და გაფრთხილებული იქნან ისინი, რომ მსგავსი მოქმედების განმეორების შემთხვევაში მოხსნილი იქნებიან თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ვირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 25 აპრილი, № 255.